

**ACCU-CHEK®**

SmartGuide Predict



# **მომხმარებლის სახელმძღვანელო**

**ACCU-CHEK SMARTGUIDE PREDICT 330**

---

## სარჩევი

1 წინამდებარე სახელმძღვანელოს შესახებ.....	4
2 ინფორმაცია პროდუქტის შესახებ.....	5
2.1 მიზნობრივი გამოყენება.....	5
2.2 გამოყენების ჩვენებები.....	5
2.3 სამიზნე მომხმარებლები.....	5
2.4 უკუჩვენებები.....	5
2.5 შეზღუდვები.....	5
2.6 განათლება და გადამზადება.....	5
2.7 მთავარი ფუნქციები.....	6
3 ზოგადი ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ.....	10
4 აპის გამოყენება.....	11
4.1 აპის გამოყენებისთვის საჭირო პირობები.....	11
4.2 გამოშვების შენიშვნები.....	12
5 დანყება.....	13
5.1 აპის ინსტალაცია და დეინსტალაცია.....	13
5.2 Predict აპში შესვლა.....	13
5.3 Accu-Chek SmartGuide აპის კონფიგურაცია.....	13
6 მობილური მოწყობილობის კონფიგურირება.....	15
6.1 ზოგადი მოთხოვნები.....	15
6.2 წვდომის დაცვა.....	15
7 მთავარი ეკრანი.....	17
7.1 ნავიგაციის ელემენტები.....	18
8 გლუკოზის პროგნოზირება.....	19
8.1 შეტყობინებები გლუკოზის პროგნოზირების შეცდომების შესახებ.....	20
8.2 დაბალი გლუკოზის პროგნოზირება.....	21
8.3 დაბალი გლუკოზის პროგნოზირების გამონაკლისები.....	21
9 ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი.....	22
9.1 ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის შეცდომების შეტყობინებები.....	23
9.2 ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ჩართვა.....	25
10 გლუკოზის პატერნები.....	26
10.1 გლუკოზის პატერნების ტიპები.....	26
10.2 დაბალი და მაღალი გლუკოზის პატერნების შესაძლო მიზეზები.....	29
10.3 გლუკოზის პატერნის შემახსენებლის დაყენება.....	30
10.4 შენიშვნის დამატება.....	30
10.5 ყოველკვირეული შეჯამების შეტყობინების ჩართვა.....	31
11 ანგარიშის ექსპორტირება.....	32
12 აპის პარამეტრები.....	33
13 უწესივრობათა აღმოფხვრა.....	35
13.1 უწესივრობათა აღმოფხვრა.....	35
13.2 შეტყობინებათა მიმოხილვა.....	35
14 მომხმარებელთა მხარდაჭერა.....	36
15 ტექნიკური მონაცემები.....	37
16 აპის ხატულების ახსნა.....	38


---

17 სიმბოლოთა განმარტებები.....	40
--------------------------------	----


აპის ყველა ფუნქციის უკეთ გაგებისათვის, ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციებს. თუ აპი მოლოდინისამებრ არ მუშაობს, იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელოს უწესივრობათა აღმოფხვრის განყოფილება. თუ რასაც ეძებდით კვლავაც ვერ პოულობთ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ფორმითაა ხაზგასმული შემდეგი ინფორმაცია:

## გაფრთხილება

 **გაფრთხილება** მიანიშნებს წინასწარ პროგნოზირებად სერიოზულ საფრთხეზე.

## წინასწარი სიფრთხილის ზომა

 **წინასწარი სიფრთხილის ზომა** აღწერს ზომას, რომელიც პროდუქტის უსაფრთხო და ეფექტიანი ექსპლუატაციისათვის ან პროდუქტისთვის ზიანის მიყენების საპრევენციოდ უნდა მიიღოთ.

## შენიშვნა

შენიშვნა შეიცავს სასარგებლო ინფორმაციასა და მითითებებს.

## 2.1 მიზნობრივი გამოყენება

Accu-Chek® SmartGuide Predict აპი წარმოადგენს პროგრამულ აპლიკაციას, რომლის სამიზნე მომხმარებლებიც დიაბეტის მქონე პირები არიან (PWD-ები), რომლებიც იყენებენ დაკავშირებულ გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის (CGM) სისტემას.

Accu-Chek SmartGuide Predict აპი არის:

- ინფორმაციის მართვის ხელსაწყო, რომელიც PWD-ებს ეხმარება დიაბეტის შესახებ მონაცემთა ვიზუალიზაციასა და გაანალიზებაში.
- მისი მიზნობრივი დანიშნულება PWD-თათვის დიაბეტის მართვის კუთხით ყოველდღიური დახმარების განევა და განკუთვნილია სახლში გამოსაყენებლად.
- Accu-Chek SmartGuide აპის კომპანიონი აპი.

## 2.2 გამოყენების ჩვენებები

Accu-Chek SmartGuide Predict აპლიკაციის (აპი) საოჯახო პირობებში ყოველდღიური გამოყენებისათვისაა განკუთვნილი.

Accu-Chek SmartGuide Predict აპის მიზანს გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის (CGM) წარსულის მონაცემთა მიმოხილვა და სამომავლო CGM მნიშვნელობათა პროგნოზირება წარმოადგენს.

აღნიშნული აპის გამართული მუშაობა დამოკიდებულია შესაბამისი პარამეტრების მქონე თავსებად მობილურ მოწყობილობაზე. თავსებადი მობილური მოწყობილობების შესახებ უახლესი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ <https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

## 2.3 სამიზნე მომხმარებლები

სამიზნე მომხმარებლებს წარმოადგენენ შემდეგი პირები:

- ზრდასრულ პირებს, რომელთა ასაკიც 18 წელი და მეტია
- შაქრიანი დიაბეტის მქონე პირები

## 2.4 უკუჩვენებები

წინამდებარე აპის განსაზღვრული მიზანი არ მოიცავს რაიმე ფუნქციის მართვას ან დაკავშირებული მოწყობილობების რაიმე მონაცემის მოდიფიცირებას.

აპი არ არის განკუთვნილი დაკავშირებული მოწყობილობების ძირითადი ეკრანის ჩანაცვლებისთვის (როგორცაა, სისხლში გლუკოზის საზომი, ინსულინის კალმები ან CGM მონაცემები შესაბამისი CGM აპზე).

პაციენტებმა, მათ სამედიცინო დარგის სპეციალისტთან (HCP) წინასწარი კონსულტაციის გარეშე, ნაჩვენები მონაცემების საფუძველზე არ უნდა შეცვალონ მათი თერაპია.

## 2.5 შეზღუდვები

Accu-Chek SmartGuide Predict აპმა რეალურ დროში უნდა მიიღოს შესაბამისი დიაბეტის მქონე პირის CGM მნიშვნელობები.

CGM მონაცემთა შეგროვების გამოტოვებებმა შესაძლოა დაქვეითებული ფუნქციონირება გამოიწვიოს.

## 2.6 განათლება და გადამზადება

ამ აპის გამოყენება წინასწარი განათლებისა თუ გადამზადების მიღების გარეშეა შესაძლებელი.

## 2.7 მთავარი ფუნქციები

Predict აპის კორექტულად ფუნქციონირებისათვის, თავდაპირველად უნდა გამართოთ თქვენი CGM სენსორი. მიჰყევით Accu-Chek SmartGuide აპის მომხმარებლის სახელმძღვანელოს თქვენი სენსორის კალიბრაციის თავში წარმოდგენილ ნაბიჯებს.

გლუკოზის საწყისი პროგნოზის მისაღებად საჭიროა CGM მონაცემთა სულ მცირე 1 საათიანი უწყვეტი გადაცემა. ხოლო ღამის განმავლობაში გლუკოზის დაბალი დონის დაფიქსირების აღბათობის პროგნოზირებისათვის სულ მცირე 1 დღეა საჭირო.

ამ განყოფილებაში წარმოდგენილია აპის მთავარი ფუნქციონალური შესაძლებლობების მიმოხილვა:

- გლუკოზის პროგნოზირება
- დაბალი გლუკოზის პროგნოზირება
- ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი
- გლუკოზის პატერნები
- პერსონალიზებული შეტყობინებები
- ანგარიშის ექსპორტირება
- მთავარი ეკრანი
- მონაცემთა გადაცემა
- Accu-Chek SmartGuide აპთან სრულყოფილი ინტეგრაცია

### გლუკოზის პროგნოზირება

Predict აპი Accu-Chek SmartGuide აპიდან აგროვებს ინფორმაციას და იყენებს მას.

როგორც კი თქვენს CGM სენსორს შესაბამისად დააყენებთ და Accu-Chek SmartGuide აპიდან ამ აპში მინიმუმ 1 საათის უწყვეტი CGM მონაცემები იქნება გადაცემული, მომდევნო 2 საათის გლუკოზის პროგნოზირება დაუყოვნებლივ გამოჩნდება.

აღნიშნული ფუნქციის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი გლუკოზის პროგნოზირება.

### დაბალი გლუკოზის პროგნოზირება

აპი ამოიცნობს და გატყობინებთ 30 წუთის განმავლობაში შესაძლო დაბალი გლუკოზის შესახებ. ნაგულისხმევად, აპის პირველად გახსნისას მიღებული **დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინება უკვე გამოტანილია. მის გასათიშად შეგიძლიათ გადახვიდეთ **შეტყობინებების პარამეტრები მენიუდან**. აპის მთავარ ეკრანზე დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი კვლავ იქნება ნაჩვენები.

**დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინება ჩნდება თქვენს დაბლოკილ ეკრანზე, ან როდესაც ჩამოსქროლავთ ზემოდან, ნებისმიერ სხვა ეკრანზე. მეტი დეტალების სანახავად და იმ მოქმედებების შესახებ შესატყობად, რომელთა განხორციელებაც არასავალდებულოდ გაქვთ არჩეული, შეეხეთ შეტყობინებას.

დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ფუნქცია მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც თქვენი დაბალი გლუკოზის განგაში Accu-Chek SmartGuide აპში 60 მგ/დლ (3,3 მმოლ/ლ) და 100 მგ/დლ (5,5 მმოლ/ლ) შორისაა დაყენებული. როდესაც დაბალი გლუკოზის განგაში 100 მგ/დლ-ზეა (5,5 მმოლ/ლ) დაყენებული, შეტყობინება არ იმუშავებს.

აღნიშნული შეტყობინების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ თავი გლუკოზის პროგნოზირება.

### ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი

აღნიშნული ფუნქციით ხდება ღამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობის პროგნოზირება, გაძლევთ რა საშუალებას, რომ გადანყვიტოთ თუ რა ზომებს უნდა მიმართოთ დაძინებამდე.

დაბალი დონისკენ დაშვება გულისხმობს იმას, რომ თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა შესაძლოა 70 მგ/დლ-ს (3,9 მმოლ/ლ-ს) ჩამოცდეს.

თუ ძილის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ალბათობა მაღალია, აღნიშნული ფუნქციის გააქტიურებისა და შეტყობინების ჩართვის შემთხვევაში, შესაძლებელია, მიიღოთ **ღამის დაბალი გლუკოზის პროგნოზი მომზადებულია!** შეტყობინება. Predict აპს თქვენი ალბათობის პროგნოზირებისათვის სულ მცირე 1 დღე სჭირდება.

ასევე შეგიძლიათ დააყენოთ ფუნქცია: დაბალი გლუკოზა ღამის საათებში და მექანიკურად მოითხოვოთ მისი დაანგარიშება.

ღამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ თავი ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი.

### გლუკოზის პატერნები

აღნიშნული ფუნქცია დღის ან კვირის (ორშ-კვ) განმავლობაში მომხდარი განმეორებადი გლიკემიური მოვლენების ამოცნობას ახდენს. იგი საშუალებას გაძლევთ, რომ გადადგათ ქმედითი ნაბიჯები, რათა თქვენი გლუკოზის დონეები დიაპაზონში შეინარჩუნოთ.

Predict აპის მიერ Accu-Chek SmartGuide აპიდან CGM მონაცემთა მიღებისთანავე, მთავარ ეკრანზე, გრაფიკის ქვეშ ჩნდება გასული 24 საათის განმავლობაში გამოვლენილი პატერნები.

პატერნები კლებადობით აისახება: ზემოთ აისახება ჯანმრთელობისთვის ყველაზე მაღალი რისკის მქონე, მაგალითად, ძალიან დაბალი ან დაბალი გლუკოზის პატერნები. გარდა ამისა, თქვენს ნებისმიერ ამოცნობილ პატერნზე შეგიძლიათ შემახსენებლების დაყენება.

პატერნის შეჯამებას მიიღებთ ყოველკვირეულად, ყოველ ორშაბათს. და თავად გადანყვიტოთ, გსურთ თუ არა შეტყობინების მიღება, როდესაც შეჯამება ხელმისაწვდომი იქნება.

### მიმდინარე ჩანართიდან გლუკოზის პატერნების ეკრანზე

- იხილეთ ყველა პატერნი, რომელიც გასულ 2 კვირაში გამოვლენილი (გასული კვირის ორშაბათიდან თქვენი მიმდინარე დროის წერტილამდე). შეგიძლიათ იხილოთ, თუ რომელ პატერნებზეა დაყენებული შემახსენებლები.
- მეტი ინფორმაციის სანახავად, შეეხეთ ამოცნობილ პატერნს. აღნიშნული მოიცავს Accu-Chek SmartGuide აპის ჩანაწერების ჟურნალში არსებულ ნებისმიერ ასოცირებულ ნახშირწყალს, ინსულინსა და სისხლში გლუკოზის შედეგის ჩანაწერს. შეეხეთ პატერნის ცალკეულ დღეს, რათა იხილოთ ამ კონკრეტული დღის დეტალები და ჩანაწერების ჟურნალში შენახული ინფორმაცია.
- მოახდინეთ პერსონალიზება, რათა მიიღოთ შეტყობინება, როდესაც გასული კვირის შეჯამება ხელმისაწვდომი იქნება.

### წინა ჩანართიდან გლუკოზის პატერნების ეკრანზე

- იხილეთ ის პატერნები, რომლებიც მეტად აღარაა გამოვლენილი, დალაგებული უახლესი თვიდან. წინა 2 კვირაზე ძველი პატერნები 6 თვის მანძილზე ცალკე ინახება.

პატერნების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ თავი გლუკოზის პატერნები.

### პერსონალიზებადი შეტყობინებები

მოახდინეთ ღამით დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობებისა და ყოველკვირეული პატერნის შეჯამების შეტყობინებების პერსონალიზაცია. 30 წუთის განმავლობაში მოსალოდნელი დაბალი გლუკოზის შესახებ შეტყობინება ნაგულისხმევად ჩართულია. პერსონალიზებადი შეტყობინებების ფუნქციის გამოყენებით დააკმაყოფილეთ თქვენი პერსონალური საჭიროებები და პრეფერენციები.

**შეტყობინებების პარამეტრებზე** წვდომას **მენიუდან** შეძლებთ. რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მობილური მონაცემების ოპერაციული პარამეტრების შემოწმება. საჭიროა შეტყობინებების ჩართვა.

### ანგარიშის ექსპორტირება

აირჩიეთ მონაცემთა ორკვირიანი პერიოდი, რათა მოახდინოთ თქვენი პატერნებისა და/ან გლუკოზის ამბულატორიული პროფილის (AGP) ანგარიშის ექსპორტირება. თქვენი ანგარიშის გაანალიზებით საშუალება გექვსათ უკეთ გაიგოთ თქვენი წარსული საერთო გლიკემიური სტატუსი. გლუკოზის შესახებ აღნიშნული ისტორიული მონაცემების ქონა სამომავლოდ, თქვენი გლუკოზის დონეების უკეთ მართვაში დაგეხმარებათ. დამატებით, ანგარიშის თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტთან გაზიარება მარტივად შეგიძლიათ.

აღნიშნული ანგარიშის გენერირების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ თავი ანგარიშის ექსპორტირება.

### მთავარი ეკრანი

ერთ სივრცეში იხილეთ მთელი თქვენი ინფორმაცია. ყველა რელევანტური მონაცემი, როგორცაა თქვენი გასული და უახლესი გლუკოზის მნიშვნელობა და თქვენი გლუკოზის პროგნოზი, გრაფიკზეა ნაჩვენები.

მთავარ ეკრანზე, გრაფიკის ქვეშ ჩნდება თქვენი ღამის დაბალი გლუკოზის პროგნოზი, დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათები და გასული 24 საათის განმავლობაში გამოვლენილი პატერნები. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი **დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინება ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაბალი გლუკოზის ქონის მაღალი რისკია მოსალოდნელი. თავდაპირველად დაბლოკილ ეკრანზე **დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინება გამოჩნდება. აპის პირველად გახსნისას, აღნიშნული შეტყობინება ნაგულისხმევად უკვე გამოტანილია.

აღნიშნული ეკრანისა და აპსშიდა ნავიგაციის ელემენტების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ თავი მთავარი ეკრანი.

### მონაცემთა გადაცემა

Predict აპი აპში თქვენი დიაბეტის შესახებ შენახულ ყველა მონაცემს Accu-Chek-ის ანგარიშში გადაიტანს. სავალდებულოა ინტერნეტთან კავშირი.

### Accu-Chek SmartGuide აბთან სრულყოფილი ინტეგრაცია

გამომდინარე იქიდან, რომ Accu-Chek SmartGuide აპი და Predict აპი ახდენს თქვენი დიაბეტის მონაცემების ურთიერთგაზიარებას, ამ აპიდან Accu-Chek SmartGuide აპზე გადასვლა პირდაპირ შეგიძლიათ. უბრალოდ, შეეხეთ მთავარი ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილ Accu-Chek SmartGuide-ის აპის ხატულას. Predict აპზე უკან დასაბრუნებლად, აგრეთვე შეგიძლიათ შეეხოთ Accu-Chek SmartGuide აპის მთავარ ეკრანზე წარმოდგენილ Predict აპის ხატულას.

მუშაობის პრინციპის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ Accu-Chek SmartGuide აპის კონფიგურაცია.

**წინასწარი სიფრთხილის ზოგა****სერიოზული ზიანის რისკი**

გირჩევნ, რომ ნაჩვენებ მონაცემებზე დაყრდნობით, თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტთან (HCP) წინასწარი კონსულტაციის გარეშე არ შეცვალოთ თქვენი ზოგადი თერაპია, როგორცაა ინსულინ-ნახშირწყლების კოეფიციენტები, ინსულინის სქემა ან ვარჯიშის ინტენსივობა. რუტინული თერაპიის შესახებ კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს.

გლუკოზის ნებისმიერი მოულოდნელი მნიშვნელობის გამოვლენის შემთხვევაში, თქვენ მიერ თერაპიაში შესატან ცვლილებათა სამედიცინო დარგის სპეციალისტთან განხილვამდე, რეკომენდირებულია მოიქცეთ შემდეგნაირად:

- შეადარეთ აღნიშნულ აპში ნაჩვენები გლუკოზის მნიშვნელობები Accu-Chek SmartGuide აპის მიერ ნაჩვენებ გლუკოზის თავდაპირველ მნიშვნელობებს.
- თუ კვლავაც ორჭოფობთ, ჩაიტარეთ სისხლში გლუკოზის ტესტი თქვენი სისხლში გლუკოზის საზომის გამოყენებით.
- დაუკავშირდით თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტს თუ აპებში ნაჩვენები გლუკოზის დონის შესახებ კვლავაც ორჭოფობთ.

Predict აპი პროგნოზებას თქვენი CGM მონაცემებისა და ჟურნალის (ნახშირწყლების და ინსულინის) ჩანაწერების საფუძველზე აწარმოებს. პროგნოზში გათვალისწინებული არაა ნებისმიერი იმგვარი მოქმედება, რომელიც შესაძლოა შემდეგი ორი საათის განმავლობაში განახორციელოთ (მაგალითად ჭამა, ინსულინის მიღება და ვარჯიში). გაითვალისწინეთ, რომ ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ფუნქციისათვის აღნიშნული 2 საათს აჭარბებს, ვინაიდან იგი ღამეს მთლიანად მოიცავს.

#### 4.1 აპის გამოყენებისთვის საჭირო პირობები

##### სავალდებულო ანგარიშები

- iOS მოწყობილობებზე აპის ჩამოტვირთვისათვის Apple ID დაგჭირდებათ.
- Android მოწყობილობებზე აპის ჩამოტვირთვისათვის Google-ის ანგარიში დაგჭირდებათ.
- აპის დასაყენებლად Accu-Chek-ის ანგარიში დაგჭირდებათ.
- Accu-Chek-ის ანგარიშის შესაქმნელად პერსონალური ელფოსტის მისამართი დაგჭირდებათ.

##### სისტემური მოთხოვნები

აპის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ შესრულებულია შემდეგი მოთხოვნები:

- უნდა გამოიყენოთ Accu-Chek SmartGuide CGM სენსორი და აპი.
- გლუკოზის პროგნოზირებისა და აპის შეტყობინებების მისაღებად, უნდა გქონდეთ ინტერნეტთან კავშირი.
- აპის iOS ვერსია მოითხოვს iOS 15.3 ან უფრო ახალ ვერსიას.
- აპის Android ვერსია მოითხოვს Android 11 ან უფრო ახალ ვერსიას.

მობილური მოწყობილობის ახალ ოპერაციული სისტემის ვერსიაზე განახლებამდე, დარწმუნდით, რომ აპი ახალ ოპერაციული სისტემის ვერსიასთან თავსებადია. თუ კვლავ ორჭოფობთ, შეამოწმეთ თავსებადი მოწყობილობების ჩამონათვალი:

<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>.

დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას, თუ კვლავაც საჭიროებთ დახმარებას.

რეკომენდებულია აპისა და/ან მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემის მაშინვე განახლება, როგორც კი იგი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება.

##### ქსელის მოთხოვნები

აპი საჭიროებს შემდეგ ნებართვებს:

- უზრუნველყავით დაცული ინტერნეტ კავშირი, თქვენი მონაცემების Accu-Chek ანგარიშთან და Roche Diabetes Care-ის ღრუბლოვანი საცავთან გაზიარებისათვის. მობილური მოწყობილობა მხოლოდ ცნობილ, სანდო და უსაფრთხო Wi-Fi®-სა და მობილურ ქსელებთან დააკავშირეთ.

##### ბრაუზერის მოთხოვნები

Accu-Chek ანგარიშის შესაქმნელად და აპში შესასვლელად ბრაუზერი დაგჭირდებათ. თუ ბრაუზერი ჯერ არ გაქვთ დაინსტალირებული, თავდაპირველად მისი ჩამოტვირთვა დაგჭირდებათ.

აღნიშნული აპი Android მოწყობილობების შემდეგ ბრაუზერებთანაა თავსებადი:

- Google Chrome
- Mozilla Firefox
- Mozilla Firefox Focus
- Microsoft Edge
- Samsung Internet

აღნიშნული აპი თავსებადია iOS მონაცობილობების Safari-ს ბრაუზერთან.

#### **4.2 გამოშვების შენიშვნები**

აპის ბოლო ვერსიის შენიშვნების სანახავად გადადით App Store-ში ან Google Play-ზე.

## 5.1 აპის ინსტალაცია და დეინსტალაცია

### აპის ინსტალაცია

პირველ რიგში, აპი თქვენს მობილურ მოწყობილობაზე უნდა ჩამოტვირთოთ. აპის ჩამოტვირთვას ციფრული დისტრიბუციის შემდეგი პლატფორმებიდან შეძლებთ:

- App Store iOS-ის მომხმარებლებისათვის
- Google Play Android-ის მომხმარებლებისათვის

ჩამოტვირთეთ აპი და დააინსტალირეთ იგი თქვენს მობილურ მოწყობილობაზე. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააინსტალიროთ აპები მობილურ მოწყობილობაზე, წარმოდგენილია მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელოში და აგრეთვე App Store-სა თუ Google Play-ზე.

### აპის დეინსტალაცია

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინოთ აპების თქვენს მობილურ მოწყობილობაზე დეინსტალაცია, წარმოდგენილია თქვენი მობილური მოწყობილობის მომხმარებლის სახელმძღვანელოში და აგრეთვე App Store-სა თუ Google Play-ზე.

## 5.2 Predict აპში შესვლა

აპის ჩამოტვირთვისა და ინსტალაციის შემდეგ, იგი მზადაა გასახსნელად და შეგიძლიათ მასში შესვლა.

აპში შესასვლელად ბრაუზერი დაგჭირდებათ. თუ ბრაუზერი ჯერ არ გაქვთ დაინსტალირებული, თავდაპირველად მისი ჩამოტვირთვა დაგჭირდებათ.

- 1 შეეხეთ აპის ხატულას.
- 2 საწყისი ეკრანები გამოჩნდება. ეკრანები სანახავად გადაფურცლეთ მარცხნივ.
- 3 აპში შედით იმავე მომხმარებლის სახელითა და პაროლით, რომელსაც Accu-Chek ანგარიშისათვის იყენებდით.
- 4 არ გაქვთ Accu-Chek ანგარიში? შეხებით აირჩიეთ **ანგარიშის შექმნა** და მიჰყევით ეკრანზე გამოსულ ინსტრუქციას.

## 5.3 Accu-Chek SmartGuide აპის კონფიგურაცია

თუ Accu-Chek SmartGuide აპი სათანადოდაა დაყენებული, Predict აპი ავტომატურად მიიღებს CGM მონაცემებს.

თუ მონაცემთა გადაცემა წარმატებულია, მთავარ ეკრანზე გადამისამართდებით. აპის განყოფილებებზე წვდომა ეკრანის ქვედა ნაწილში ნავიგაციის მეშვეობით სრულდება.

### Accu-Chek SmartGuide აპი არ არის დაინსტალირებული?

შეხებით აირჩიეთ **აპში გადასვლა** და თქვენ აპების მალაზიაში გადამისამართდებით. ასევე შეგიძლიათ შეეხოთ მთავარი ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილ Accu-Chek SmartGuide-ის აპის ხატულას.

### თქვენი სენსორი ჯერ არ არის დანყვილებული?

- შეხებით აირჩიეთ **აპში გადასვლა** და გაიხსნება Accu-Chek SmartGuide აპი. თქვენი სენსორის დასაწყვილებლად მიჰყევით ინსტრუქციას.
- უზუსტესი პროგნოზის წარმოსადგენად, საჭიროა Predict აპს რეგულარულად განახლებული გლუკოზის მნიშვნელობები მიეწოდოს. თქვენი CGM მონაცემების გადასაცემად შეხებით აირჩიეთ **ახლავე სინქრონიზაცია**.

### აპი ინსტალირებული და დაკავშირებულია, თუმცა მცირე შეფერხებაა?

- შესული უნდა იყოს თქვენს Accu-Chek ანგარიშში. გამოსვლის შემთხვევაში, გლუკოზის მნიშვნელობებს ან შეტყობინებებს ვეღარ მიიღებთ. თქვენ იყენებთ Accu-Chek ანგარიშის ერთსა და იმავე მომხმარებლის სახელსა და პაროლს, რასაც Accu-Chek SmartGuide აპის, ასევე Predict აპის გამოყენებისთვის იყენებდით.
- მონაცემები არასაკმარისია. დარწმუნდით, რომ თქვენი CGM სენსორი და Accu-Chek SmartGuide აპი სათანადოდ მუშაობს. იმისთვის, რომ Predict აპმა შეძლოს შემდეგი 2 საათის განმავლობაში გლუკოზის საწყისი პროგნოზის წარმოდგენა, საჭიროა სულ მცირე 1 საათიანი უწყვეტი CGM მონაცემთა გადაცემა.
- სენსორის გამოცვლის დროა. დაბრუნდით Accu-Chek SmartGuide აპში და მიჰყევით სენსორის შეცვლის ინსტრუქციებს.
- CGM მონაცემები მიუწვდომელია. მთავარი ეკრანის გრაფიკზე მონაცემები არ ჩანს. უწესივრობათა აღმოსაფხვრელად დაბრუნდით Accu-Chek SmartGuide აპზე. შეეხეთ მთავარი ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილ Accu-Chek SmartGuide-ის აპის ხატულას.

## 6.1 ზოგადი მოთხოვნები

### მონყობილობაზე ზრუნვა

აპს ნუ გამოიყენებთ დაბზარული ან დაზიანებული ეკრანის მქონე მობილურ მონყობილობაზე. თუ ეკრანი დაბზარული ან დაზიანებულია, შესაძლოა მასზე ნაჩვენები ყველა ელემენტის ხილვა ვერ შეძლოთ. აპი გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისად ფუნქციონირებად მობილურ მონყობილობაზე.

## 6.2 წვდომის დაცვა

### მონაცემთა დაცვა

დაიცავით აპის მონაცემები უცხო პირთა მიერ წვდომისა თუ არასწორი გამოყენებისაგან. გამოიყენეთ მობილურ მონყობილობაზე ან ოპერაციულ სისტემაში ხელმისაწვდომი უსაფრთხოების ფუნქციები, მაგალითად, როგორცაა პაროლით დაცვა.

დიაბეტის შესახებ თქვენი ყველა მონაცემი ასევე დაშიფრული და დაცულია Accu-Chek-ის ანგარიშში, რომელიც Roche Diabetes Care-ის ღრუბლოვანი საცავში ინახება.

ინფორმაციისათვის იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს Roche თქვენი პერსონალური ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებას:

- შეხებით აირჩიეთ **მენიუ > ანგარიში > კონფიდენციალურობის პარამეტრები**
- შეხებით აირჩიეთ **მენიუ > ანგარიში > ანგარიშის მართვა**

### მობილური მონყობილობის დაცვა

დაიცავით აპი მასზე მესამე მხარის მიერ წვდომისაგან. წვდომის ნება დართეთ მხოლოდ სანდო დამხმარეებს.

- ნუ ათხოვებთ მობილურ მონყობილობას სხვებს, მათ შორის ბავშვებს.
- მობილური მონყობილობის უსაფრთხოების პარამეტრებში დააყენეთ ეკრანის დაბლოკვა.
- ეკრანის დაბლოკვა ისე დააკონფიგურირეთ, რომ არააქტიურობის გარკვეული პერიოდის შემდეგ მან ავტომატურად დაბლოკოს მობილური მონყობილობა.

### ანგარიშის დაცვა

შეინარჩუნეთ Accu-Chek-ის თქვენს ანგარიშში ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა დამხმარეებისა, ნურავის გაუზიარებთ თქვენს ანგარიშს.

დაიცავით მობილური მონყობილობა პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებებისაგან. დარწმუნდით, რომ აპების მალაზიიდან (მაგ., App Store ან Google Play) ინსტალაციებისთვის მოითხოვება პაროლი.

Apple ან Google-ის ანგარიშზე პაროლის პარამეტრების ცვლილებების შესახებ ინფორმაციისათვის, იხილეთ თქვენი ჩამოტვირთვის პლატფორმის ინსტრუქციები.

Accu-Chek ანგარიშის პაროლის პარამეტრების შესაცვლელად, გადაადით: **მენიუ > ანგარიში > ანგარიშის მართვა**.

# 6

## მობილური მოწყობილობის კონფიგურირება

---

მობილური მოწყობილობის კონფიგურირების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ Accu-Chek SmartGuide-ის აპის მომხმარებლის სახელმძღვანელო.



მთავარი ეკრანი აპის ცენტრალურ ნაწილშია და 5 განყოფილებადაა დაყოფილი. ამ ნაგულისხმევ ეკრანზე ნაჩვენებია:

- 1 Accu-Chek SmartGuide აპის ხატულა: Accu-Chek SmartGuide აპის მთავარ ეკრანზე გადასასვლელად შეეხეთ ამ ხატულას. Predict აპი რჩება გახსნილი.
- 2 შეეხეთ ⓘ ხატულას, რათა მეტი შეიტყოთ გრაფიკზე ნაჩვენები გლუკოზის პროგნოზირების შესახებ.
- 3 გრაფიკზე ნაჩვენებია გასული საათის განმავლობაში, ამჟამინდელი და მომდევნო 2 საათის განმავლობაში თქვენი გლუკოზის დონეების პროგნოზი. პროგნოზის დიაპაზონში წარმოდგენილი პუნქტირის ხაზი საშუალო გლუკოზის მნიშვნელობის პროგნოზს აღნიშნავს. თქვენი პროგნოზირებული გლუკოზის დიაპაზონის სიბუსტე მცირდება დროის პერიოდის ზრდასთან ერთად, რაც გაფართოებული ვერტიკალური ზოლებითაა გამოხატული. პროგნოზირების შეცდომების შესახებ შეტყობინებების მიღების შემთხვევაში მათ გრაფიკის არეში იპოვნით.


- 4 შესაბამის საზომ ერთეულში გამოხატული გლუკოზის მიმდინარე დონე.
- 5 შეტყობინების არე: ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა ღამით დაბალი და 30 წუთის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ალბათობა, აქ, პირდაპირ გრაფიკის ქვეშ იქნება ნაჩვენები.  
აპის მიერ თქვენი გლუკოზის დონეებში რაიმე პატერნის ამოცნობის შემთხვევაში, პატერნები აქაც გამოჩნდება.

### 7.1 ნავიგაციის ელემენტები

ეკრანის ზედა ნაწილში ნაჩვენებია შემდეგი ნავიგაციის ელემენტები.

- შეხებით აირჩიეთ < ნინა ეკრანზე დასაბრუნებლად.
- შეხებით აირჩიეთ X ეკრანის დასახურად.

ეკრანის ქვედა ნაწილში ნაჩვენებია შემდეგი ნავიგაციის ელემენტები.



ხატულები ლურჯადაა გამოკვეთილი, რათა აღინიშნოს აპის არე, რომელსაც ახლა ათვალთ.

- 1 **მთავარი** ეკრანის ხატულა: შეეხეთ მთავარ ეკრანზე წვდომისათვის.
- 2 **პატერნების** ხატულა: შეეხეთ გლუკოზის პატერნების ეკრანზე წვდომისათვის.
- 3 **მენიუს** ხატულა: შეეხეთ მენიუს დამატებითი ოფციების საჩვენებლად. ოფციები მოიცავს კავშირებს, ანგარიშს, შეტყობინების პარამეტრებს, ანგარიშის ექსპორტირებას, მომხმარებლის სახელმძღვანელოს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ და „დაგვიკავშირდით“ განყოფილებას.

აპი წარმოადგენს პროგნოზს იმისა, თუ რა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს გლუკოზის დონეები მომდევნო 2 საათის განმავლობაში. აღნიშნული პროგნოზი თქვენს წინა CGM მნიშვნელობებსა და Accu-Chek SmartGuide-ის აპის ჩანაწერების ურუნალში არსებულ ნახშირწყლებისა და ინსულინის ჩანაწერებს ეფუძნება.

გლუკოზის პროგნოზირება მთავარ ეკრანზე არსებულ გრაფიკზე მაშინ ჩნდება, როდესაც CGM მონაცემები აპში მინიმუმ 1 საათის წარმატებით უწყვეტად გადაიცემა.

გრაფიკზე ნაჩვენებია გასული საათის განმავლობაში, ამჟამინდელი და მომდევნო 2 საათის განმავლობაში თქვენი გლუკოზის დონეების პროგნოზი. პროგნოზის დიაპაზონში წარმოდგენილი პუნქტირის ხაზი საშუალო გლუკოზის მნიშვნელობის პროგნოზს აღნიშნავს.

თქვენი პროგნოზირებული გლუკოზის დიაპაზონის სიზუსტე მცირდება დროის პერიოდის ზრდასთან ერთად, რაც გაფართოებადი ვერტიკალური ზოლებითაა გამოხატული.

გახსოვდეთ, რომ გლუკოზის სამომავლო ნაჩვენები მნიშვნელობები წარმოადგენს მხოლოდ პროგნოზს, რომლებიც შესაძლოა რეალური მნიშვნელობებისაგან განსხვავდებოდეს და მათზე Accu-Chek SmartGuide აპის ტენდენციის რეჟიმის ან თერაპიის რეჟიმის მიმდინარე სტატუსი გავლენას არ ახდენს. ტენდენციის რეჟიმი მიუთითებს იმას, რომ Accu-Chek SmartGuide აპში ასახული მნიშვნელობები მხოლოდ ტენდენციების დასათვალისწინებლად და ზოგადი საცნობარო მასალის სახით უნდა იქნას გამოყენებული. მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის მხოლოდ თერაპიის რეჟიმში ნაჩვენები მნიშვნელობები უნდა იქნას გამოყენებული.

გრაფიკზე ნაჩვენები დიაპაზონი 0-დან 300 მგ/დლ-მდეა (0-16,7 მმოლ/ლ). თუ თქვენი მნიშვნელობა 300 მგ/დლ (16,7 მმოლ/ლ) აჭარბებს, იგი ზემოთკენ მიმართული სამკუთხედით იქნება აღნიშნული და თუ თქვენი მნიშვნელობა 400 მგ/დლ (22 მმოლ/ლ)-ზე მეტია, აპზე რიცხობრივი მნიშვნელობის ნაცვლად „HI“ გამოისახება. თუ თქვენი მნიშვნელობა 40 მგ/დლ (2,2 მმოლ/ლ)-ზე ნაკლებია, იგი ქვემოთკენ მიმართული სამკუთხედით იქნება აღნიშნული და აპზე რიცხობრივი მნიშვნელობის ნაცვლად „LO“ გამოისახება.

თუ პროგნოზირებული გლუკოზის დონეს შემცირების ტენდენცია აქვს და დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი გამოჩნდება, გრაფიკზე მაქსიმუმ მომდევნო 30 წუთის განმავლობაში მოსალოდნელი გლუკოზის მნიშვნელობები აისახება. თუ პროგნოზირებული გლუკოზის დონე 30 წუთში არ შემცირდება, გრაფიკზე არავითარი პროგნოზირებული მნიშვნელობა არ გამოჩნდება და გამოჩნდება მხოლოდ დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი.

პროგნოზის ნახვისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- Predict აპი პროგნოზებს თქვენი CGM მონაცემებისა და ჟურნალის ნახშირწყლებისა და ინსულინის ჩანაწერების საფუძველზე აწარმოებს. პროგნოზში გათვალისწინებული არაა ნებისმიერი იმგვარი მოქმედება, რომელიც შესაძლოა შემდეგი ორი საათის განმავლობაში განახორციელოთ (მაგალითად ჭამა, ინსულინის მიღება და ვარჯიში).
- 2 საათიანი პროგნოზი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა იმ შემთხვევებში, როდესაც პროგნოზი 45 წუთს აჭარბებს და იგი გატყობინებთ იმ სამომავლო ზომების შესახებ, რომელთა განხორციელებაც შესაძლოა დაგჭირდეთ (როგორცაა თქვენი გლუკოზის უფრო ხშირი შემოწმება, ინსულინის ინექციების მომზადება ან ნახშირწყლების ხელმისაწვდომად მომზადება). შემდგომი 45 წუთის განმავლობაში გლუკოზის მაღალი და დაბალი დონის პროგნოზის მიღების შემთხვევაში, უნდა განიხილოთ თუ რა ზომებს უნდა მიმართოთ.

### 8.1 შეტყობინებები გლუკოზის პროგნოზირების შეცდომების შესახებ

გლუკოზის პროგნოზირების არარსებობის შემთხვევაში, მთავარ ეკრანზე მიიღებთ შემდეგი შეცდომის შეტყობინებებიდან ერთ-ერთს.

შეცდომის შეტყობინება	მოქმედება
გლუკოზის პროგნოზირებისთვის მინიმუმ 1 სთ-იანი CGM მონაცემები გვჭირდება.	დაიცადეთ 1 საათს, თქვენი გლუკოზის პროგნოზის გამოსაჩენად.
გლუკოზის პროგნოზირება შეუძლებელია, სანამ თქვენი ნიშნული 70 მგ/დლ (3,9 მმოლ/ლ)-ზე დაბალია.	პროგნოზს, მანამ სანამ თქვენს სისხლში გლუკოზის დონე დაბალი იქნება, ვერ მოგაწვდით. გლუკოზის დონის 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ-ზე) მეტად გასაზრდელად ჭამეთ ან დალიეთ შაქრის შემცველი პროდუქტები, როგორც ეს თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერაა რეკომენდებული. (ეს მნიშვნელობა მხოლოდ მაგალითის სახითაა წარმოდგენილი. დაბალი გლუკოზის ზღვარი, თქვენს შემთხვევაში შესაძლოა განსხვავდებოდეს.)
თქვენი გლუკოზის პროგნოზირება ვერ ხერხდება. სცადეთ მოგვიანებით.	თქვენი გლუკოზის პროგნოზირება ვერ მოხერხდა. გთხოვთ, მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდეთ. თუ კვლავაც განაგრძობთ შეცდომის მიღებას, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

### 8.2 დაბალი გლუკოზის პროგნოზირება

აღნიშნული აპის მიერ მომდევნო 30 წუთის განმავლობაში დაბალი გლუკოზის გამოვლენის შემთხვევაში, მთავარ ეკრანზე ჩნდება დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი. დაბალი გლუკოზა შეიძლება მომდევნო 30 წუთის მანძილზე ნებისმიერ დროს გამოვლინდეს.

დაბალი დონისკენ დაშვება ნიშნავს იმას, რომ თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა შესაძლოა გლუკოზის იმ ქვედა ზღვარზე დაბლა აღმოჩნდეს, რომელიც Accu-Chek SmartGuide აპში გლუკოზის განგაშის სიგნალისათვის გაქვთ დაყენებული. გლუკოზის ზღვრების დაყენების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ Accu-Chek SmartGuide აპის მომხმარებლის სახელმძღვანელოს თავი „დაწყება“.

თუ 30 წუთის განმავლობაში დაბალი დონისკენ დაშვების შანსები მაღალია და თუ შეტყობინებები ჩართული გაქვთ, **დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინება ჩნდება ან დაბლოკილ ეკრანზე ან როდესაც ეკრანს ზემოდან ჩამოსქროლავთ, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოახდენთ მობილური მოწყობილობის კონფიგურირებას.

შეხებით **დაბალი გლუკოზა მოსალოდნელია მალე!** შეტყობინებას დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ეკრანის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. გაეცანით რეკომენდაციებს და გადაწყვიტეთ, თუ რა მოქმედებას განახორციელებთ შემდეგ.

### 8.3 დაბალი გლუკოზის პროგნოზირების გამონაკლისები

დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ფუნქცია დღის მანძილზე 24 საათის, კვირაში 7 დღის განმავლობაშია აქტიური, შემდეგი გამონაკლისებით:

- დაბალი გლუკოზის განგაში Accu-Chek SmartGuide აპში 60 მგ/დლ (3,3 მმოლ/ლ) და 100 მგ/დლ (5,5 მმოლ/ლ) შორისაა დაყენებული. როდესაც დაბალი გლუკოზის განგაში 100 მგ/დლ-ზეა (5,5 მმოლ/ლ) დაყენებული, შეტყობინება არ იმუშავებს.
- ნახშირწყლების ბოლო მიღებიდან გასულია 20 წუთი.
- ბოლო პროგნოზიდან და ბოლო შეტყობინების გაგზავნიდან გასულია 30 წუთი.
- თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა უკვე გლუკოზის იმ ქვედა ზღვარზე დაბლაა, რომელიც Accu-Chek SmartGuide აპში გლუკოზის განგაშის სიგნალისათვის გაქვთ დაყენებული. გლუკოზის ზღვრების დაყენების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ Accu-Chek SmartGuide აპის მომხმარებლის სახელმძღვანელოს თავი „დაწყება“.

დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი მთავარი ეკრანიდან 15 წუთის შემდეგ გაქრება.

ლამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ფუნქცია დაძინებამდე გაცნობებთ იმის ალბათობას, რომ ღამის განმავლობაში შესაძლოა გქონდეთ დაბალი გლუკოზა და აგრეთვე გიჩვენებთ დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც დაბალი დონის დაფიქსირების რისკი მაღალია. პროგნოზი 21:00 საათიდან ღამის 2:00 საათამდეა ხელმისაწვდომი.

დაბალი დონისკენ დაშვება გულისხმობს იმას, რომ თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა შესაძლოა 70 მგ/დლ-ს (3,9 მმოლ/ლ-ს) ჩამოცდეს. ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი ფიქსირებული დაბალი ზღვრით ფუნქციონირებს, რომელიც 70 მგ/დლ-ს (3,9 მმოლ/ლ-ს) შეადგენს და იგი Accu-Chek SmartGuide აპისაგან დამოუკიდებელია.

ღამედ განისაზღვრება 7 საათიანი დროის პერიოდი, რომელიც აითვლება იმ დროიდან, როდესაც მოხდა პროგნოზის დაანგარიშება.

შეგიძლიათ მოირგოთ ღამის დაბალი გლუკოზის პროგნოზის ფუნქცია და მექანიკურად მოითხოვოთ ახალი გამოთვლის წარმოება, დროის ნებისმიერ პერიოდში, საღამოს 21:00-დან ღამის 2:00 საათამდე. მაღალი რისკის (თქვენი რისკის ნორმალურ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი) შესახებ ასევე შერჩეულ დროს მიიღებთ შეტყობინებას.

ღამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის მაღალი ალბათობის შემთხვევაში და თუ შეტყობინებები ჩართულია, თქვენი მობილური მონაცემების დაბლოკილ ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება **ღამის დაბალი გლუკოზის პროგნოზი მომზადებულია!** ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ბარათის ნახვა აპის მთავარ ეკრანზე გრაფიკის ქვემოთაა შესაძლებელი. ამ შეტყობინების მართვისათვის გადაადით **მენიუ > შეტყობინებების პარამეტრები**.

შეეხეთ შეტყობინებას ან ბარათს, რათა ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ეკრანზე გრაფიკული პროგნოზი იხილოთ.

ღამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობა რისკის 3 სხვადასხვა დონედ იყოფა, სადაც თითოეულ დონეს განსხვავებული ფერი ასახავს:

- ნორმალური – 30%-ზე ნაკლები (მწვანე)
- მაღალი – 30-60%-ს შორის (ყვითელი)
- ძალიან მაღალი – 60%-ზე მეტი (წითელი)



იმისდა მიხედვით, ღამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობა თქვენთვის ნორმალურია, მაღალი თუ ძალიან მაღალი, განიხილეთ ის სავარაუდო მოქმედებები, რომელთაც განახორციელებთ.

ნორმალური რისკიც კი რისკია, შესაბამისად უნდა მოხდეს ნებისმიერი საჭირო მოქმედების გათვალისწინება.

როდესაც ლამის განმავლობაში მოსალოდნელია დაბალი გლუკოზის მაღალი ან ძალიან მაღალი ალბათობა, ლამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ეკრანი აგრეთვე აჩვენებს შემდეგ რეკომენდაციებს:

- მოიმარაგეთ ნახშირწყლების შემცველი წასახემსებლები საწოლთან ახლოს.
- განიხილეთ ბაზალური ინსულინის ნაკლები ერთეულის მიღება ინექციით ლამით.
- მიიღეთ ცილებით ან ცხიმით მდიდარი საკვები გარკვეული ოდენობით.

შეგიძლიათ ყოველ 20 წუთში ერთხელ დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობების მექანიკურად გამოთვლა მოითხოვოთ, თუ ეს მოხდება თქვენი ბოლო ჭამიდან და/ან ინსულინის ინექციიდან 20 წუთის შემდეგ, შემდეგი გამონაკლისებით:

- თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა უკვე 70 მგ/დლ-ზე ქვემოთაა (3,9 მმოლ/ლ-ზე) ან თქვენი დაბალი გლუკოზის ზღვარს ჩამოცდა (თუ 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ) მეტია).
- თქვენი გლუკოზის პროგნოზი ან დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი აჩვენებს, რომ მალე თქვენი გლუკოზის დონე 70 მგ/დლ-ს (3,9 მმოლ/ლ-ს) ჩამოცდება. თქვენი გლუკოზის მნიშვნელობა აქ ნაჩვენებისგან შესაძლოა განსხვავდებოდეს, ვინაიდან ეს მნიშვნელობა თქვენ მიერ Accu-Chek SmartGuide აპში თქვენი გლუკოზის განგაშის სიგნალისთვის განერილი დაბალი გლუკოზის ზღვარზეა დაფუძნებული.

## 9.1 ლამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის შეცდომების შეტყობინებები

როდესაც შეუძლებელია ლამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის წარმოდგენა, გაეცანით შემდეგს, რათა უკეთ გაიგოთ მიზეზი და შესაძლო მოქმედებები. თქვენი გლუკოზის მნიშვნელობები შესაძლოა აქ ნაჩვენები მნიშვნელობებისაგან განსხვავდებოდეს.

შეცდომის შეტყობინება	მოქმედება
მცირე შეფერხებაა	ჩვენი სერვისი შესაძლოა, მიუწვდომელი იყოს. თუ <b>ხელახლა ცდა</b> უშედეგო იქნება, დაელოდეთ რამდენიმე წუთი. თუ კვლავაც განაგრძობთ შეცდომის მიღებას, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას.

შეცდომის შეტყობინება	მოქმედება
ჯერ არ არის ხელმისაწვდომი	ნაადრევია იმის გამოთვლა, შესაძლოა თუ არა, გქონდეთ დაბალი გლუკოზა ლამით. დაბრუნდით შემდეგ პერიოდში: 21:00-2:00. ლამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ფუნქცია მხოლოდ აღნიშნული დროის პერიოდის განმავლობაში მუშაობს.
არ არის საკმარისი მონაცემები	დარწმუნდით, რომ გიკეთიათ CGM-ის სენსორი მინიმუმ 1 დღის განმავლობაში. ლამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის დაფიქსირების ალბათობის პროგნოზირებისათვის სულ მცირე 1 დღე გვჭირდება.
ამოცნობილია ნახშირწყლების ან ინსულინის მიღება	Accu-Chek SmartGuide აპის ჩანაწერების ჟურნალში ნახშირწყლებისა თუ ინსულინის ჩანაწერის შეტანის შემთხვევაში, აღნიშნულ აპს ახალი ჩანაწერის გასაანალიზებლად და ლამის განმავლობაში დაბალი გლუკოზის ქონის ალბათობის ახლიდან გამოსათვლელად, სულ მცირე 20 წუთი დასჭირდება.
თქვენი ნიშნული ეცემა	წინამდებარე შეტყობინება გამოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ თქვენი გლუკოზის პროგნოზი ან თქვენი დაბალი გლუკოზის პროგნოზირების ბარათი აჩვენებს, რომ გლუკოზის მნიშვნელობა პროგნოზით 70 მგ/დლ-ს (3,9 მმოლ/ლ-ს) ჩამოცდება. (ეს მნიშვნელობა მხოლოდ მაგალითის სახითაა წარმოდგენილი. დაბალი გლუკოზის ზღვარი, თქვენს შემთხვევაში შესაძლოა განსხვავდებოდეს.)

შეცდომის შეტყობინება	მოქმედება
თქვენი ნიშნული 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ-ზე)-ზე დაბლაა	ეს აპი ვერ შეძლებს დაბალი გლუკოზის პროგნოზირებას მაშინ, როცა თქვენი გლუკოზის დონე უკვე დაბალია. ჭამეთ ან დალიეთ შაქრის შემცველი პროდუქტი, როგორც ეს თქვენი სამედიცინო დარგის სპეციალისტის მიერაა რეკომენდებული. (ეს მნიშვნელობა მხოლოდ მაგალითის სახითაა ნარმოდგენილი. დაბალი გლუკოზის ზღვარი, თქვენს შემთხვევაში შესაძლოა განსხვავდებოდეს.)
მცირე შეფერხებაა	თქვენ მიერ რისკის გამოთვლის მცდელობისას თქვენი გლუკოზის პროგნოზირება ვერ შეეძელით. გთხოვთ, მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდეთ.
ხაზზე ხართ?	აღნიშნული აპის გამოსაყენებლად დარწმუნდით, რომ მობილური მონყობილობა დაკავშირებულია ინტერნეტთან.

## 9.2 ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ჩართვა

- 1** ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის ბარათზე შეხებით აირჩიეთ **ჩართვა**.
- 2** შეხებით აირჩიეთ **შემდეგი** და ჩართეთ შეტყობინების გადამრთველი.
- 3** შეიყვანეთ დრო და შეხებით აირჩიეთ **მზადაა**. აირჩიეთ დრო, რომელიც დღის განმავლობაში თქვენი ბოლო ჭამიდან და ინსულინის მიღებიდან სულ მცირე 30 წუთის შემდეგ და დაძინებამდეა.
- დადასტურების ეკრანი აჩვენებს. შეხებით აირჩიეთ **კარგი**.

# 10 გლუკოზის პატერნები

აღნიშნული ფუნქცია დღის ან კვირის (ორშ-კვ) განმავლობაში მომხდარი განმეორებადი გლიკემიური მოვლენების ამოცნობას ახდენს.

ყოველდღიურად, ბოლო 24 საათიდან თქვენი გამოვლენილი პატერნები მთავარი ეკრანის გრაფიკის ქვეშაა ნაჩვენები.

ვიზუალიზირდება როგორც დიაპაზონის ფარგლებში, ასევე დიაპაზონს მიღმა პატერნები. დიაპაზონს მიღმა არსებული პატერნების ნახვით, სამომავლოდ მათ საპრევენციოდ შეძლებთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

პატერნები კლებადობით აისახება: ზემოთ აისახება ჯანმრთელობისთვის ყველაზე მაღალი რისკის მქონე, მაგალითად, ძალიან დაბალი ან დაბალი გლუკოზის პატერნები. აგრეთვე შეგიძლიათ ნებისმიერ ამოცნობილ პატერნზე შემახსენებლების დაყენება.

ყოველ ორშაბათს აპში წინა კვირაში გამოვლენილი ყველა პატერნის შეჯამებაა ნაჩვენები. აღნიშნული შეჯამების მზაობის შესახებ შეტყობინების მისაღებად, იხილეთ ყოველკვირეული შეჯამების შეტყობინების ჩართვა.

შეეხეთ პატერნების ხატულას ქვედა ნავიგაციიდან, რათა განახორციელოთ შემდეგი:

## მიმდინარე ჩანართიდან გლუკოზის პატერნების ეკრანზე

- იხილეთ ამოცნობილი პატერნები და ის პატერნები, რომელთათვისაც დაყენებულია შემახსენებლები.
- მეტი ინფორმაციის სანახავად, შეეხეთ ამოცნობილ პატერნს. აღნიშნული მოიცავს Accu-Chek SmartGuide აპის ჩანაწერების ჟურნალში არსებულ ნებისმიერ ასოცირებულ ნახშირწყალს, ინსულინსა და სისხლში გლუკოზის შედეგის ჩანაწერს. შეეხეთ პატერნის ცალკეულ დღეს, რათა იხილოთ ამ კონკრეტული დღის დეტალები და ჩანაწერების ჟურნალში შენახული ინფორმაცია.
- მოახდინეთ პერსონალიზება, რათა მიიღოთ შეტყობინება, როდესაც გასული კვირის შეჯამება ხელმისაწვდომი იქნება.

## წინა ჩანართიდან გლუკოზის პატერნების ეკრანზე

- იხილეთ ის პატერნები, რომლებიც მეტად აღარაა გამოვლენილი, დალაგებული უახლესი თვიდან. წინა 2 კვირაზე ძველი პატერნები 6 თვის მანძილზე ცალკე ინახება.

გლუკოზის პატერნების ეკრანის პირველად ნახვისას ჩნდება მიმოხილვა. ფუნქციის მუშაობის პრინციპის უკეთ გასაგებად გაეცანით ეკრანებს.

### 10.1 გლუკოზის პატერნების ტიპები

წინამდებარე თავში წარმოდგენილ ცხრილებში ჩამოთვლილია შესაძლო პატერნები და მათთან დაკავშირებული დროითი ინტერვალი, რომლის გამოვლენაც თქვენი CGM მონაცემებიდანაა შესაძლებელი.

პირველ ცხრილში ნაჩვენებია დროითი ინტერვალები და მათი დანყებისა და დასრულების დროები.

დროითი ინტერვალი	დანყების დრო	დასრულების დრო	დროის სარტყელი
ღამე	00:00	06:00	ადგილობრივი დრო

# 10 გლუკოზის პატერნები

დროითი ინტერვალი	დანყების დრო	დასრულების დრო	დროის სარტყელი
დილა	06:00	10:00	ადგილობრივი დრო
დღის საათები	10:00	20:00	ადგილობრივი დრო
სალამოს	20:00	00:00	ადგილობრივი დრო
მთელი დღის მანძილზე	00:00	00:00	ადგილობრივი დრო









პატერნისთვის ნაჩვენები დროის წერტილი ასახავს იმ ადგილობრივ დროს, როდესაც მოხდა დროის წერტილის ჩანერა. თუ დროის სარტყელს შეიცვლით, წინა დროის ნიშნულები არ განახლდება.

შემდეგ ცხრილში ჩამოთვლილია ყველა ის შესაძლო პატერნი, რომელიც აღნიშნული აპის მიერ შესაძლოა თქვენი მონაცემებიდან იქნას გამოვლენილი.



ამ აპის ნაგულისხმევი გლუკოზის ფიქსირებული მნიშვნელობები აქ დიაპაზონს მიღმა პატერნის გამომწვევ ზღვრებადაა გამოყენებული. „დიაპაზონში“ და „გლუკოზა დიაპაზონის გარეთ ჭამის შემდეგ“ პატერნები თქვენ მიერ Accu-Chek SmartGuide აპში დაყენებული სამიზნე დიაპაზონიდან გამომდინარე ჩნდება.

აღნიშნულ აპში საუბმესთან ან საკვებთან ასოცირებული პატერნის გამოსავლენად Accu-Chek SmartGuide აპში უწყვეტად უნდა აწარმოოთ ჩანანერები თქვენი საკვების შესახებ.

პატერნის ხატულა	შესაძლო პატერნები	აღწერილობა
	დაბალი (დილა, დღის საათებში, სალამო, ღამე)	გლუკოზის 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ-ზე) დაბალი დონე
	ძალიან დაბალი (დილა, დღის საათებში, სალამო, ღამე)	გლუკოზის 54 მგ/დლ-ზე (3,0 მმოლ/ლ-ზე) დაბალი დონე
	ხანგრძლივად დაბალი გლუკოზა (დილა, დღის საათებში, სალამო, ღამე)	გლუკოზის 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ-ზე) დაბალი დონე 2 საათზე მეტი დროის განმავლობაში
	დაბალი გლუკოზის რამდენიმე შემთხვევა დღის საათებში	გლუკოზის 70 მგ/დლ-ზე (3,9 მმოლ/ლ-ზე) დაბალი დონე ერთი და იგივე დღის განმავლობაში რამდენჯერმე
	ძალიან მაღალი (დილა, დღის საათებში, სალამო, ღამე)	გლუკოზის 250 მგ/დლ-ზე (13,9 მმოლ/ლ-ზე) მაღალი დონე

პატერნის სატულა	შესაძლო პატერნები	აღწერილობა
	მაღალი გლუკოზა საუზმის წინ	<p>გლუკოზის 130 მგ/დლ-ზე (7,2 მმოლ/ლ-ზე) მაღალი დონე</p> <p>ეს მნიშვნელობა მხოლოდ მაგალითის სახითაა წარმოდგენილი. გლუკოზის მნიშვნელობა დამოკიდებულია თქვენ მიერ Accu-Chek SmartGuide აპში განწერილ ქვედა სამიზნე მნიშვნელობაზე.</p> <p>დროის პერიოდი: 06:00-10:00</p>
	მაღალი (დილა, დღის საათებში, საღამო, ღამე)	გლუკოზის 180 მგ/დლ-ზე (10,0 მმოლ/ლ-ზე) მაღალი დონე
	გლუკოზა დიაპაზონის გარეთ ჭამის შემდეგ	ჭამის შემდეგ გლუკოზის დონე სამიზნე დიაპაზონს სცდება
	გლუკოზა დიაპაზონში საუზმის წინ	<p>ჭამამდე გლუკოზის დონე სამიზნე დიაპაზონშია</p> <p>დროის პერიოდი: 06:00-10:00</p>
	დიაპაზონში	გლუკოზის დონე სამიზნე დიაპაზონშია
	გლუკოზა დიაპაზონში ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში	გლუკოზის დონე დიაპაზონშია ზედიზედ 3 ან მეტი დღის განმავლობაში
	დიაპაზონში ჭამის შემდეგ	ჭამის შემდეგ გლუკოზის დონე სამიზნე დიაპაზონშია
	CGM-ის მაღალი ცვალებადობა	გლუკოზის დონეები დღის განმავლობაში მერყეობს.

# 10 გლუკოზის პატერნები



პატერნის ხატულა	შესაძლო პატერნები	აღწერილობა
	დაბალი გლუკოზის ჰიპერკორექცია	3 საათიანი პერიოდის განმავლობაში გლუკოზის ცვალებადობა ქვედა მაჩვენებლიდან 70 მგ/დლ (3,9 მმოლ/ლ) ზედა მაჩვენებლამდე 250 მგ/დლ (13,9 მმოლ/ლ).
	მაღალი გლუკოზის ჰიპერკორექცია	3 საათიანი პერიოდის განმავლობაში გლუკოზის ცვალებადობა ზედა მაჩვენებლიდან 250 მგ/დლ (13,9 მმოლ/ლ) ქვედა მაჩვენებლამდე 70 მგ/დლ (3,9 მმოლ/ლ).

## 10.2 დაბალი და მაღალი გლუკოზის პატერნების შესაძლო მიზეზები

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია ტიპი 1 და ტიპი 2 დიაბეტის მქონე პირებში დაბალი და მაღალი პატერნების შესაძლო მიზეზები. გაითვალისწინეთ, რომ გამომწვევი მიზეზები შესაძლოა ყველა პატერნისა და დიაბეტის ტიპისათვის არ გამოჩნდეს. აპში შეეხეთ თითოეულ მიზეზს, რათა მიიღოთ მეტი ინფორმაცია.

ხატულა	გამომწვევი მიზეზი
	ინსულინის დოზირება
	ინექციის ადგილები
	საჭმელი და სასმელი
	ფიზიკური აქტივობა
	ჰორმონალური გავლენა
	ჰორმონები და ბიორითმები

# 10 გლუკოზის პატერნები

ხატულა	გამომწვევი მიზეზი
	სითბო
	სტრესი, ძილი და ავადმყოფობა

## 10.3 გლუკოზის პატერნის შემახსენებლის დაყენება

პატერნის შემახსენებლის დაყენება საშუალებას გაძლევთ განსაზღვროთ, თუ რა მოქმედების განხორციელება გსურთ.

როგორც აპის მიერ შეგროვებული მონაცემების, ასევე თქვენი საკუთარი ცხოვრების წესის და ქცევების შესახებ ცოდნის გამოყენებით, უკეთ შეძლებთ გლიკემიური ბალანსის მიღწევასა და კრიტიკულ სიტუაციათა თავიდან არიდებას.

ნებისმიერ დროს შეძლებთ ცალკეულ პატერნზე გადასვლას და შემახსენებლის სწორედ იქედან გათიშვას.

აპი, პატერნის გადანყვეტისთანავე მას ავტომატურად წინა ჩანართში გადაიტანს. ამავდროულად, თუ პატერნზე შემახსენებელია დაყენებული, აპი შემახსენებელს მოაცილებს.

- 1** ქვედა ნავიგაციაში შეხებით აირჩიეთ **პატერნები**.
- 2** შეეხეთ პატერნებს, რომელთა შესახებაც გსურთ შეხსენების მიღება.
- 3** შეხებით აირჩიეთ **შემახსენებლის დაყენება**.
- 4** ჩართეთ შემახსენებელი გადამრთველი.
- 5** აირჩიეთ დღე და დრო და თუ რამდენად ხშირად გსურთ პატერნის შემახსენებლის მიღება. შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.
- 6** შეხებით აირჩიეთ **მზადაა**.
- დადასტურების ეკრანი აჩვენებს. შეხებით აირჩიეთ **კარგი**. იგივე ნაბიჯები გაიმეორეთ იმ ცალკეული თითოეული პატერნისთვის, რომლის შესახებაც გსურთ, მიიღოთ შეხსენება.

## 10.4 შენიშვნის დამატება

შენიშვნის დამატებას შეძლებთ მხოლოდ იმ დღეებზე, როდესაც პატერნი გამოვლინდა. აღნიშნული შენიშვნა თქვენი პატერნის ანგარიშშიც გამოჩნდება.

- 1** ქვედა ნავიგაციაში შეხებით აირჩიეთ **პატერნები**.
- 2** შეეხეთ პატერნებს, რომლებზეც გსურთ შენიშვნის დამატება.
- 3** შეეხეთ დღეს, როდესაც პატერნი გამოვლინდა.
- 4** შეხებით აირჩიეთ **დამატება** და შეიყვანეთ მოკლე აღწერა.

## 10.5 ყოველკვირეული შეჯამების შეტყობინების ჩართვა

წინა კვირის პატერნის შეჯამება ყოველ ორშაბათს გენერირდება. აღნიშნული შეჯამების ხელმისაწვდომობის შესახებ შეტყობინების მისაღებად:

- 1** ქვედა ნავიგაციაში შეხებით აირჩიეთ **პატერნები**.
- 2** ყოველკვირეული შეჯამების ბარათზე შეხებით აირჩიეთ **ჩართვა**.
- 3** ჩართეთ შეტყობინებების გადამრთველი.
- 4** შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.
- 5** შეხებით აირჩიეთ **შემატყობინე ყოველდღე მითითებულ დროს** და დაარედაქტირეთ დრო, თუ როდის გსურთ თქვენი შეტყობინების მიღება.
- 6** შეხებით აირჩიეთ **შემდეგი**.
- დადასტურების ეკრანი აჩვენებს. შეხებით აირჩიეთ **კარგი**.

თქვენი არჩევანის მოდიფიცირებას შეძლებთ გამყოფილებიდან: **მენიუ > შეტყობინებების პარამეტრები**.

ანგარიშის პირველად ექსპორტირებისას, გაეცანით ეკრანზე ხელმისაწვდომი ფუნქციის მიმოხილვას. შეხებით აირჩიეთ ④ სატულა ნებისმიერ დროს აღწერილობაზე დასაბრუნებლად.


ანგარიშის ექსპორტირებას პირდაპირ აღნიშნული აპიდან შეძლებთ. თავისუფლად შეგიძლიათ ორკვირიანი პერიოდისთვის შეიყვანოთ გლუკოზის ამბულატორიული პროფილი (AGP) და/ან პატერნები. თქვენი PDF ანგარიშის თქვენს სამედიცინო დარგის სპეციალისტთან გაზიარება მარტივია. დარწმუნდით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების, როგორცაა ელფოსტა, გაზიარებისათვის გამოყენებული მეთოდი აღჭურვილია დაცვის საშუალებებით და უზრუნველყოფს თქვენი მონაცემების უსაფრთხოებას.

### ანგარიშის ექსპორტირება

- 1** შეხებით აირჩიეთ **მენიუ > ანგარიშის ექსპორტირება**.
- 2** აირჩიეთ თქვენი ანგარიშისთვის ორკვირიანი პერიოდი.
- 3** აირჩიეთ თქვენი ანგარიშის შიგთავსი.
- 4** შეხებით აირჩიეთ **ანგარიშის გენერირება**.
- თქვენი ანგარიში გამოჩნდება. შეგიძლიათ ანგარიშის გაზიარება ან მისი მოგვიანებით გადასახედად შენახვა. გენერირებული ანგარიშის შენახვამდე დახურვის შემთხვევაში, მოახდინეთ მისი ხელახალი გენერირება და შემდეგ შეინახეთ იგი თქვენთვის სასურველ ადგილას.

# 12 აპის პარამეტრები

აპის პარამეტრების სანახავად და ცვლილებების შესატანად, შეხებით აირჩიეთ **მენიუ** ქვედა ნავიგაციიდან. რეგულარულად გადახედეთ პარამეტრებსა და სხვა დეტალებს. ყველაზე აქტუალური ინფორმაცია აპის გამოყენებისას საუკეთესო შთაბეჭდილებებს შეგიქმნით.



## შეტყობინებების პარამეტრების რედაქტირება

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ** > **შეტყობინებების პარამეტრები**.
- 2 საჭიროებისამებრ ჩართეთ ან გამორთეთ შეტყობინების გადამრთველი.
- 3 პატერნის ყოველკვირეული შეჯამების შესახებ შეტყობინების ჩართვის შემთხვევაში, თუ საჭიროა, დრო დააყენეთ.
- 4 შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.

## ანგარიშის დეტალების რედაქტირება

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ** > **ანგარიში** > **ანგარიშის მართვა**.
- 2 დაამატეთ ან განაახლეთ საჭირო ინფორმაცია. შეხებით აირჩიეთ **შენახვა**.

## კონფიდენციალურობის პარამეტრები

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ** > **ანგარიში** > **კონფიდენციალურობის პარამეტრები**.

## პროდუქტის ინფორმაციის ეკრანი

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ** > **პროდუქტის ინფორმაცია**.

## გამოსვლა

- 1 შეხებით აირჩიეთ **მენიუ** > **ანგარიში** > **გამოსვლა**.

# 12 აპის პარამეტრები

---

## ანგარიშის ნაშლა

- 1** შეხებით აირჩიეთ **მენიუ > ანგარიში > ჩემი ანგარიშის ნაშლა**. დარწმუნდით, რომ ნამდვილად გსურთ ამ მოქმედების განხორციელება. Accu-Chek ანგარიშის ნაშლის შემთხვევაში ყველა მონაცემი დაიკარგება. მონაცემების მოგვიანებით აღდგენა შეუძლებელი იქნება.
- 2** შეხებით აირჩიეთ **მზადაა**.

# 13 უნესივრობათა აღმოფხვრა

## 13.1 უნესივრობათა აღმოფხვრა

მეტი ინფორმაციისათვის, შეეხეთ ქვემოთ წარმოდგენილ ბმულებს.

- შეტყობინებები გლუკოზის პროგნოზირების შეცდომების შესახებ
- დაბალი გლუკოზის პროგნოზირების გამონაკლისები
- ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზის შეცდომების შეტყობინებები
- დაბალი და მაღალი გლუკოზის პატერნების შესაძლო მიზეზები

## 13.2 შეტყობინებათა მიმოხილვა

აპი თქვენთან სხვადასხვა გზით ამყარებს კომუნიკაციას.

ზოგი შეტყობინება მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა.

გაეცანით შეტყობინებას და შეხებით აირჩიეთ X მის დასახურად.

სხვა შეტყობინებები შეიცავს არასავალდებულო მოქმედებებს, რომლებიც შეგიძლიათ განახორციელოთ. გაეცანით შეტყობინებას და აირჩიეთ სასურველი მოქმედება.

აპის გამოყენების მანძილზე შესაძლოა შეგხვდეთ საინფორმაციო შეტყობინებების შემდეგი სხვადასხვა ტიპი:

- ადაპტაციის დავალებებში ხელშეწყობა
- გლუკოზის მიმდინარე დონის შესახებ ინფორმაცია
- გლუკოზის პროგნოზირების შესახებ ინფორმაცია
- დაბალი გლუკოზისა და მაღალი გლუკოზის შესახებ ინფორმაცია
- აპის ან თქვენი მობილური მოწყობილობის სხვადასხვა ტიპის ხარვეზის შესახებ ინფორმაცია, როგორცაა

## **დაგვიკავშირდით**

თუ პრობლემები შეგექმნათ, გაქვთ შეკითხვები აპის მუშაობასთან დაკავშირებით ან ამ მოწყობილობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას. შეხებით აირჩიეთ **მენიუ > დაგვიკავშირდით**.

## **სეროიზული ინციდენტების შესახებ მოხსენება**

ევროკავშირისა და იდენტური მარეგულირებელი რეჟიმის მქონე ქვეყნებში მყოფი პაციენტების/მომხმარებლების/მესამე მხარისათვის; აღნიშნული მოწყობილობის მოხმარების განმავლობაში ან მისი მოხმარების შედეგად სეროიზული ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში, გთხოვთ მის შესახებ შეატყობინოთ მწარმოებელსა და თქვენი ქვეყნის მარეგულირებელ ორგანოს.

## **მომხმარებლის სახელმძღვანელოს ბეჭდური ფორმა**

თუ ამ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსიის მიღება გსურთ, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერას. ბეჭდური ვერსია უფასოა და რამდენიმე დღეში გამოგიგზავნით.

## **მომხმარებლის სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა**

ხელმისაწვდომია ამ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა მისამართიდან:

**<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>**\*

\* ჩამოტვირთვამ შესაძლოა გამოიწვიოს მონაცემთა გამოყენება/ ხარჯების დაკისრება

## პროდუქტის სახელი

Accu-Chek SmartGuide Predict აპი

## აპის ტიპი

მობილური მონყობილობებისთვის განკუთვნილი აპლიკაცია

## აპის ვერსია

3.7

თქვენ მიერ გამოყენებული აპის ვერსიის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ **მენიუ > პროდუქტის ინფორმაცია**.

## მხარდაჭერილი ოპერაციული სისტემები

აპი მხოლოდ კონკრეტული ოპერაციული სისტემებისთვისაა ხელმისაწვდომი. აპი გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპის მიერ ოპერაციული სისტემა მხარდაჭერილია.

თავსებადი ოპერაციული სისტემებისა და მათი ვერსიების შესახებ ბოლო ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ **<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>**.

## მხარდაჭერილი მობილური მონყობილობები

აპის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენის მობილურ მონყობილობაზე მხარდაჭერილია iOS-ის ან Android-ის საჭირო ვერსია.

თავსებადი მობილური მონყობილობების შესახებ უახლესი ინფორმაციისათვის, შეხებით აირჩიეთ **<https://tools.accu-chek.com/documents/dms/index.html>**.













## მხარდაჭერილი ბრაუზერები

Accu-Chek ანგარიშის შესაქმნელად და აპში შესასვლელად ბრაუზერი დაგჭირდებათ. თუ ბრაუზერი ჯერ არ გაქვთ დაინსტალირებული, თავდაპირველად მისი ჩამოტვირთვა დაგჭირდებათ.










- Google Chrome
- Mozilla Firefox
- Mozilla Firefox Focus
- Microsoft Edge
- Samsung Internet

აღნიშნული აპი თავსებადია iOS მონყობილობების Safari-ს ბრაუზერთან.









# 16 აპის ხატულების ახსნა

სიმბოლო	აღწერილობა
<b>აპში ნავიგაცია</b>	
	მთავარი
	პატერნები
	მენიუ
<b>ეკრანზე ნავიგაცია</b>	
	უკან
	დახურვა
	მოსანიშნი ველი
	დამატებითი ინფორმაცია
<b>აპის მენიუ</b>	
	ანგარიში
	კავშირები
	შეტყობინებების პარამეტრები
	ანგარიშის ექსპორტირება
	პროდუქტის ინფორმაცია

# 16 აპის ხატულების ახსნა

სიმბოლო	აღწერილობა
	დაგვიკავშირდით
	მომხმარებლის სახელმძღვანელო
	ტელეფონი
	ელფოსტის მისამართი
<b>მთავარი ეკრანი</b>	
	გამაფრთხილებელი შეტყობინება
	ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი ხელმისაწვდომია
	ღამით დაბალი გლუკოზის პროგნოზი მიუწვდომელია
	გლუკოზის პროგნოზირება ხელმისაწვდომია
	გლუკოზის პროგნოზირება მიუწვდომელია

# 17 სიმბოლოთა განმარტებები

სიმბოლო	აღწერილობა
	გაეცანით გამოყენების ელექტრონულ ინსტრუქციას
	გაფრთხილდით, იხილეთ აღნიშნულ პროდუქტთან თანდართული გამოყენების ინსტრუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ჩანაწერები.
	წარმოების თარიღი
	სამედიცინო მოწყობილობა
	მწარმოებელი
	მიანიშნებს შვეიცარიაში ავტორიზებულ წარმომადგენელზე
	მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორი
	შეესაბამება ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს

ბოლო განახლება: 2026-05  
1000092484(04)

ACCU-CHEK და ACCU-CHEK SMARTGUIDE Roche-ის სავაჭრო ნიშნებია.  
App Store წარმოადგენს Apple Inc.-ის რეგისტრირებულ სერვისის ნიშანს  
აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

IOS წარმოადგენს სავაჭრო ნიშანს ან Cisco-ს რეგისტრირებულ სავაჭრო  
ნიშანს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

Android, Google Play და Google Play ლოგოები წარმოადგენს Google LLC-  
ის სავაჭრო ნიშნებს.

Wi-Fi® წარმოადგენს Wi-Fi Alliance®-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს.  
ყველა სხვა პროდუქტის სახელი და სავაჭრო ნიშანი მათი შესაბამისი  
მფლობელების საკუთრებაა.

© 2026 Roche Diabetes Care



Roche Diabetes Care GmbH  
Sandhofer Strasse 116  
68305 Mannheim, Germany



[www.accu-chek.com](http://www.accu-chek.com)